ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3793985

ნომერი: AR1568330

თარიღი : 03.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 26.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფარნავაზ მეფის ქუჩა N14/ ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ფარნავაზი , პურის საცხობის მიმდებარედ (ნაკვეთი 10/011);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ღოღობერიძე პ/ნ 01024001976
- თბილისი დიმიტრი ყიფიანის ქ. N 29

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 3 იანვრის #AR1568330 განცხადებით მომართეს ავთანდილ ღოღობერიძემ შპს „მონოლითი 1“-ის დირექტორმა თეიმურაზ ელკანიშვილმა, ვლადიმერ კერესელიძემ და პაატა ზარქუამ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხობი) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.010.009; ფართობი: 888 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 18 მაისის №3268282 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზ მეფის ქ. #14-ში, შპს მონოლითი-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.10.06.010.009), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3307930 ბრძანებით, მრავალფუნქციური შენობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 07 ივნისიდან 2019 წლის 07 ივნისის ჩათვლით.
ამჯამად, განმცხადებლები ითხოვენ, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა, ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს.კ. #01.10.06.010.009) გაერთიანდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (ს.კ. #01.10.06.010.011) და ჩამოყალიბდა N01.10.06.010.025 საკადასტრო ერთეულად (ფართობი: 2695 კვ.მ.). გარდა ამისა განმცხადებლები ითხოვენ საპროექტო ობოექტს მრავალფუნქციური კომპლექსს დაემატოს სკვერი და ღია ავტოსადგომი.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახუმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური კომპლექსი, სკვერი, ღია ავტოსადგომი;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.10.06.010.025; ფართობი 2695 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N892017258031 რეგისტრაციის თარიღი: 22/12/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების საფუძველს წარმოადგენს 2018 წლის 3 იანვრის #AR1568330 განაცხადზე თანდართული საპროექტო მიწის ნაკვეთის გენგეგმა;
4. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა: "„ღია ავტოსადგომები მოეწყოს საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში, ხოლო სკვერი ჩრდილოეთ ნაწილში, წარმოდგენილი გენგეგმის შესაბამისად."
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებასთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.